| გადამუშავების დანახარჯები                                                     |          | -                  | -                  |
| საბოლოო მარაგები                                                              |          | 189,764            | 173,980            |
| <b>საერთო მოგება</b>                                                          |          | <b>4,541,610</b>   | <b>3,449,826</b>   |
| სხვა პირდაპირი საოპერაციო ხარჯები                                             | 3        | 584,486            | 472,647            |
| ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები                                         |          | 8,123              | 44,886             |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები                                               |          | 42,467             | 68,587             |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                      | 4        | 2,408,659          | 1,961,632          |
| ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლ. ხარჯები                              |          | 50,760             | 631                |
| კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები                                            |          | 255,901            | 199,647            |
| დაზღვის ხარჯი                                                                 |          | 13,014             | 9,995              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                          |          | 346,375            | 200,872            |
| იჯარის ხარჯი                                                                  | 5        | 544,212            | 465,455            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                      | 6        | 171,911            | 76,681             |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                 |          | <b>4,425,908</b>   | <b>3,501,033</b>   |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                      |          | <b>115,702</b>     | <b>(51,207)</b>    |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:                                            |          | -                  | -                  |
| ფინანსური აქტივები                                                            |          | -                  | -                  |
| მარაგები                                                                      |          | -                  | -                  |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                                    |          | -                  | -                  |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:                       |          | 258                | 14,082             |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                        |          | 863                | 3,328              |
| საპროცენტო ხარჯი :                                                            |          | (45,126)           | (88,375)           |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                 |          | 26,110             | 49,559             |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |          | <b>97,807</b>      | <b>(72,613)</b>    |
| მოგების გადასახადი                                                            |          | -                  | -                  |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                        |          | <b>97,807</b>      | <b>(72,613)</b>    |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):                                             |          | -                  | -                  |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი   |          | -                  | -                  |
| სხვა                                                                          |          | -                  | -                  |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:</b>                                 |          | <b>-</b>           | <b>-</b>           |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>                                     |          | <b>97,807</b>      | <b>(72,613)</b>    |

## შპს აგავა

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე




## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

|                                                     | შენიშვნა | 2019             | 2018             | 2017             |
|-----------------------------------------------------|----------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |          |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         |          | 175,021          | 13,270           | 328,998          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | 7        | 65,078           | 41,824           | 26,490           |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 8        | 7,255            | 143,861          | 209,893          |
| მარაგები                                            |          | 189,764          | 173,980          | 136,747          |
| - მზა პროდუქცია                                     |          | -                | -                | -                |
| - სხვა                                              |          | 189,764          | 173,980          | 136,747          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             | 9-16     | 492,393          | 508,110          | 29,197           |
| ბიოლოგიური აქტივები                                 |          | 36,705           | 34,234           | 20,307           |
| - თვითღირებულების მოდელით                           | 10       | 36,705           | 34,234           | 20,307           |
| - გადაფასების მოდელით                               | 10       | -                | -                | -                |
| გუდვილი                                             | 10       | -                | -                | -                |
| სხვა არამატერიალური აქტივები                        | 10       | 13,505           | 16,184           | 12,453           |
| ძირითადი საშუალებები                                | 10       | 1,901,730        | 2,082,405        | 991,283          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          |          | -                | -                | -                |
| <b>სულ აქტივები</b>                                 |          | <b>2,881,451</b> | <b>3,013,868</b> | <b>1,755,368</b> |
|                                                     |          | -                | -                | -                |
| <b>ვალდებულებები</b>                                |          |                  |                  |                  |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება                        | 11       | 11,152           | 141,525          | 20,288           |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | 12-16    | 260,273          | 365,729          | 136,819          |
| ვალდებულებების და ზარჯების ანარიცხები               |          | -                | -                | -                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                  | 13       | 73,065           | 74,407           | 38,799           |
| საგადასახადო ვალდებულებები                          |          | 49,245           | 26,453           | 36,204           |
| მიღებული ავანსები                                   |          | 24,233           | 8,422            | 297              |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                     |          | -                | -                | -                |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები                  | 14       | 174,503          | 291,667          | -                |
| სხვა ვალდებულებები                                  | 15       | 83,121           | 100              | 721              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            |          | <b>675,592</b>   | <b>908,303</b>   | <b>233,128</b>   |
|                                                     |          | -                | -                | -                |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                            |          |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                  |          | 2,040,000        | 2,040,000        | 1,550,573        |
| საემისიო შემოსავალი                                 |          | -                | -                | -                |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                        |          | -                | -                | -                |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                       |          | (3,051)          | (101,320)        | (73,979)         |
| გადაფასების რეზერვი                                 |          | 168,910          | 166,885          | 45,646           |
| სხვა რეზერვები                                      |          | -                | -                | -                |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                        |          | <b>2,205,859</b> | <b>2,105,565</b> | <b>1,522,240</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>2,881,451</b> | <b>3,013,868</b> | <b>1,755,368</b> |

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



## შპს აგავა


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

|                                                 | შენიშვნა | 2019      | 2018      | 2017      |
|-------------------------------------------------|----------|-----------|-----------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) |          | 2,105,565 | 1,522,240 | 1,550,573 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) | 16       |           | 489,427   | -         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  |          | -         |           |           |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           | 16       | 98,268    | (27,341)  | (73,979)  |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                       |          | 2,026     | 121,240   | 45,646    |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           |          | 2,205,859 | 2,105,565 | 1,522,240 |

## შპს აგავა

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის****1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს აგავა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 30/07/2013 ს.კ. 405003151). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სანდრო ეულის ქ., №7, მისი ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება ადგილზე და მიტანით (ე.წ. „დელივერი სერვისით“). კომპანიის საქმიანობა მოიცავს აგრეთვე სხვა მომსახურებების ელემენტებსაც, როგორცაა მომწოდებლებზე სარეკლამო მომსახურება და ქსელში პროდუქციის დაშვების მომსახურება.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

**ამონაგების აღიარება**


ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება და როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



**სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

**მოგების გადასახადი**

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება, ფინანსური შედეგის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება დივიდენტების გამოცხადების შესახებ მიღებულია და არ არსებობს მისი გაუქმების დიდი ალბათობა, სხვა შემთხვევაში მოგების გადასახადის აღიარება ხდება დივიდენტის ფაქტობრივად გადახდის პერიოდში.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ცვეთადი ღირებულების (ცვეთადი ღირებულება მიიღება აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული, აქტივის შესაძლო სარეალიზაციო ფასი მომსახურების ვადის გასვლის შემდგომ) სასარგებლო გამოყენების ვადაზე წრფივი მეთოდით განაწილების გზით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ხდება აქტივების გადაფასება პერსპექტიულად.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება

ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.


იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის რეალურ ღირებულებას ხდება მისი გადაფასება და რეალურ ღირებულებამდე დაყვანა, შესაბამისი აფასების თანხა აღირიცხება კაპიტალის მუხლში, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის სახით, რომლის კომპენსირებაც ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში აფასებულ ღირებულებაზე დარიცხული ცვეთის თანხით.

იჯარა

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები**


სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარება ხდება საშუალო მეწონილი მეთოდით.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია ძირითადად ზორციელდება მომსახრების მიღებისთანავე გადახდით, აგრეთვე ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით ან წინასწარი გადახდით. დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### სასესხო ვალდებულებები

ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ყოველი თვი ბოლოს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა.


### 3. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს, ქვემოთ მოცემულ პირდაპირ დანახარჯებს გარდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა:

|          |                                       | თანხა    |
|----------|---------------------------------------|----------|
| ანგარიში | დასახელება                            | თანხა    |
| 7140     | დამხმარე მასალების დანახარჯები/შეძენა | 1,522.83 |

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



|      |                              |                   |
|------|------------------------------|-------------------|
| 7418 | მუსიკოსების ხარჯი            | 43,293.95         |
| 7426 | რესტორნის ხარჯი სხვადასხვა   | 19,590.08         |
| 7432 | გაყიდვის საშუაშვლო           | 170,815.26        |
| 7434 | სამეურნეო ხარჯი              | 204,410.76        |
| 7436 | თეიქ ევეი                    | 76,182.31         |
| 7437 | Wolt ტრანსპორტირება          | 19,141.18         |
| 7480 | საბრუნავი საშუალებების ხარჯი | 49,529.23         |
|      |                              | <b>584,485.60</b> |

#### 4. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალზე გაცემულ ხელფასებსა და სხვა დანამატებს. აგრეთვე სხვადასხვა ბენეფიტებზე (კვება, ტრანსპორტით მომსახურება, ფასდაკლება სერვისებზე და სხვა.) დარიცხულ გადასახადებს სსკ ს მოთხოვნების შესაბამისად.

#### 5. იჯარის ხარჯები


საიჯარო ხარჯები მოიცავს საწარმოს ადმინისტრაციული შენობის (ოფისის) იჯარისა და საწარმოო ფართების იჯარის ხარჯებს.

#### 6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| ანგარიში | დასახელება                                   | თანხა     |
|----------|----------------------------------------------|-----------|
|          |                                              | დებეტი    |
| 3310     | მოგების გადასახ. საქონლის დანაკლისზე და სხვ. | 8,137.81  |
| 3330     | გადასახდელი დღე საქონლის დანაკლისზე და სხვ.  | 6,418.76  |
| 7409     | საპენისო ფონდი                               | 35,280.96 |
| 7412     | საოფისე ხარჯი                                | 4,812.35  |
| 7414     | წარმომადგენლობითი ხარჯი                      | 719.32    |
| 7415     | მივლინება                                    | 20,682.40 |
| 7419     | დაცვის მომსახურება                           | 9,287.30  |
| 7422     | იურიდიული მომსახურება                        | 20.00     |
| 7423     | საავტორო უფლებათა ასოციაცია                  | 7,632.00  |
| 7425     | შრომის უსაფრთხოების ხარჯი                    | 4,000.00  |
| 7431     | ტრენინგი                                     | 2,318.11  |
| 7443     | სხვადასხვა მომსახურება                       | 2,960.70  |
| 7465     |                                              | 20,733.67 |

შპს აგავა-ს

დირექტორი: ნინო კაპანაძე



|      |                         |            |
|------|-------------------------|------------|
|      | სხვა საგადასახადო ხარჯი |            |
| 7490 | სხვა საერთო ხარჯი       | 48,908.03  |
|      |                         | 171,911.41 |

## 7. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მოიცავს მიტანის სერვისზე მომსახურე კომპანიებზე მოთხოვნებს, სარეკლამო მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და მოთხოვნებს ბანკის მიმართ, რომლებიც წარმოშობილია მომხმარებელთა მიერ მომსახურების ღირებულების უნაღდო ანგარიშსწორებით (პოს ტერმინალით) გადახდით და რომელთა შესაბამისი თანხებიც საანაგრიშო პერიოდის ბოლოს არ არის განაღდებული (ჩარიცხული) ბანკის მიერ.

## 8. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს რეზიდენტ საწარმოებზე და ფიზიკურ პირებზე გადახდილ მიმდინარე ავანსებს.


## 9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები ძირითადად მოიცავს მოთხოვნებს თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ გაცემულ თანხებზე და მოთხოვნას პარტნიორებზე საწესდებო კაპიტალის შევსებაზე.

| ანგარიში | დასახელება                               | თანხა      |
|----------|------------------------------------------|------------|
|          |                                          | თანხა      |
| 1430/1.  | ანგარიშსწორებანი ეროვნულ ვალუტაში        | 2,965.15   |
| 1460     | კაპიტ.შევს.პარტნ.გრძელვ.მოთხ.მიმდ.ნაწილი | 489,426.72 |
| 1790     | სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები            | 0.82       |
|          |                                          | 492,392.69 |

შპს აგავა-ს

დირექტორი: ნინო კაპანაძე



## 10. ძირითადი საშუალებები

| ანგ.     | დასახელება                             | ნაშთი<br>01.01.2019 | მიღება   | აფასებ<br>ა | გასვლა       | მჯთა      | ნაშთი<br>31.12.2019 |
|----------|----------------------------------------|---------------------|----------|-------------|--------------|-----------|---------------------|
| 214<br>1 | ბიოლოგიური აქტივი                      | 34233.68            | 2471.55  | 0.00        | 0.00         | 0.00      | 36705.23            |
|          | სულ ბიოლოგიური აქტივები                | 34,234              | 2,472    | -           | -            | -         | 36,705              |
| 215<br>0 | მანქანა-დანადგარები                    | 557740.28           | 96127.94 | 272.32      | 4052.12      | 61098.79  | 588989.63           |
| 215<br>7 | (საბურთალო) # რესტორნის<br>აქსესუარები | 209366.03           | 3530.07  | 550.77      | 3360.82      | 51204.87  | 158881.18           |
| 215<br>9 | 1000 ლარამდე რესტორნის აქსესუარები     | 83046.02            | 8332.57  | 1123.0<br>9 | 763.55       | 27085.83  | 64652.30            |
| 216<br>0 | ოფისის აღჭურვილობა                     | 67289.07            | 4626.59  | 136.02      | 426.27       | 11936.01  | 59689.40            |
| 217<br>0 | ავეჯი და სხვა ინვენტარი                | 301532.02           | 47526.40 | 403.29      | 11508.4<br>8 | 51091.76  | 286861.47           |
| 217<br>1 | მუსიკის აპარატურის მოწყობილობები       | 25755.27            | 2061.19  | 0.00        | 1219.92      | 3379.54   | 23217.00            |
| 218<br>0 | სატრანსპორტო საშუალებები               | 37314.22            | 0.00     | 0.00        | 0.00         | 4146.03   | 33168.19            |
| 219<br>0 | იჯარით აღებული ქონების<br>კეთილმოწყობა | 800227.14           | 36340.89 | 0.00        | 16544.7<br>9 | 133752.59 | 686270.65           |
|          | სულ ძირითადი საშუალებები               | 2,082,270           | 198,546  | 2,485       | 37,876       | 343,695   | 1,901,730           |
| 259<br>0 | არამატერიალური აქტივები                | 16184.04            | 0.00     | 0.00        | 0.00         | 2679.45   | 13504.59            |
|          | არამატერიალური აქტივები                | 16,184.04           | -        | -           | -            | 2,679.45  | 13,504.59           |
|          | სულ გრძელვადიანი აქტივები              | 2,132,688           | 201,017  | 2,485       | 37,876       | 346,375   | 1,951,940           |


## 11. ფინანსური იჯარის ვალდებულება

ფინანსური იჯარის ვალდებულება მოიცავს ლიზინგით შეძენილი ძირითადი საშუალებების ვალდებულებას.

## 12. სავაჭრო ვალდებულებები

შპს აგავა-ს

დირექტორი: ნინო კაპანაძე



სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ადგილობრივ მომწოდებლებისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებებზე წარმოშობილ, ძირითადად მოკლევადიან ვალდებულებებს.

### 13. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ ძირითადად მოიცავს მიმდინარე-მოკლევადიან სახელფასო ვალდებულებებს, რომლებიც არ გულისხმობს საწარმოს სახელფასო დავალიანებას თანამშრომელთა მიმართ.

### 14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს ეროვნულ ვალუტაში აღებულ სესხებს რეზიდენტი ბანკებიდან.

### 15. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს საიჯარო, კომუნალურ და სხვა საერთო და ადმინისტრაციულ მომსახურებებთან დაკავშირებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.


### 16. ცვლილებები წარდგენაში

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდის შესაბამისი მუხლები.

შეიცვალა 2018 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული გაუნაწილებელი მოგება/ზარალის თანხა სავაჭრო ვალდებულებების კორექტირების მიზეზით.

შპს აგავა-ს

დირექტორი : ნინო კაპანაძე



აგრეთვე საწესდებო კაპიტალის თანხა გაზრდილ იქნა პარტნიორთა მიერ ფაქტობრივად შეუვსებელი თანხით, რომელიც წინა წელს არ იყო გათვალისწინებული ნაშთებში.

ცვლილება წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

|                                                 | მიმდინარე<br>წარდგენა | კორექტირებ<br>ა | თავდაპირველი<br>წარდგენა |
|-------------------------------------------------|-----------------------|-----------------|--------------------------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 1,522,240             | -               | 1,522,240                |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) | 489,427               | 489,427         | -                        |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  |                       | -               |                          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           | (27,341)              | 205             | (27,546)                 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                       | 121,240               | -               | 121,240                  |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           | 2,105,565             | 489,632         | 1,615,933                |

შეიცვალა 2018 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული სხვა მიმდინარე აქტივების თანხა, ვინაიდან წინა წელს მოთხოვნებში არ იყო გათვალისწინებული კაპიტალის შევსებაზე პარტნიორთა მიმართ მოთხოვნები. აგრეთვე მცირედით შეიცვალა სავაჭრო ვალდებულებების თანხა. ცვლილება წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში.

|                         | მიმდინარე<br>წარდგენა | კორექტირებ<br>ა | თავდაპირველი<br>წარდგენა |
|-------------------------|-----------------------|-----------------|--------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები   | 365,729               | 205             | 365,934                  |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 508,110               | 489,427         | 18,683                   |
|                         |                       | 489,632         |                          |

## 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 25 სექტემბერს.

შპს აგავა-ს  
დირექტორი : ნინო კაპანაძე

